საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვაჭაძე ირეოდი სიოს ძე

კვაჭაძე ირეოდი სიოს ძე (21. XII. 1913, სოფ. მაჩხვარეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 28. IX. 1986, თბილისი), ვეტექიმი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1938 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1946-იდან იყო ამავე ინ-ტის სას.-სამ. ცხოველთა ანატომიის კათედრის გამგე. იკვლევდა ძუძუმწოვარი ცხოველების პერიფერიული ნერვული სისტემის შედარებითი ანატომიის საკითხებს. მისი თანაავტორობით გამოცემულია უმაღლესი და საშ. სპეც. სასწავლებლების სახელმძღვანელოები (შინაურ ცხოველთა ანატომია, თბ., 1972; სასოფლოსამეურნეო ცხოველთა ანატომია და ფიზიოლოგია, თბ., 1973). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კ. კაპანაძე